

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
სენატის გადაწყვეტილება № 6/1, 03.04.2019
სენატის თავჯდომარე, რექტორი, პროფესორი
_____ ი. შარაბიძე



ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების

განხორციელების წესი

ND 2-O28

შეთანხმებულია:

რექტორის მოადგილე _____ ა.კახიძე

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის
უფროსი _____ რ.ყიფიანი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის
სპეციალისტი _____ მ.მგელაძე

შემუშავებულია:

ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი _____ ნ.ყურშუბაძე



შინაარსი

1.	მუხლი 1. ნორმატიული ბაზა -----	5.
2.	მუხლი 2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტება -----	6.
3.	თავი I -----	8.
4.	მუხლი 3. ზოგადი დებულებები -----	8.
5.	მუხლი 4. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის დანიშნულება და მიზანი	8.
6.	თავი II. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელება და განვითარება -----	9.
7.	მუხლი 5. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელება და განვითარება -----	9.
8.	მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა -----	9.
9.	მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის თანდართული დოკუმენტაცია -----	10.
10.	მუხლი 8. სწავლების ენა -----	11.
11.	მუხლი 9. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტატუსის მოპოვება -----	11.
12.	მუხლი 10. სწავლის შედეგი -----	12.
13.	მუხლი 11. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები -----	12.
14.	მუხლი 12. პროგრამის წარმოდგენა და დამტკიცება -----	12.
15.	მუხლი 13. ერთობლივი პროგრამების განხორციელება და განვითარება -----	12.
16.	მუხლი 14. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პარამეტრები და მოთხოვნები -----	13.



17.	თავი III. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა --	14.
18.	მუხლი 15. პროგრამების შეფასების პროცედურა -----	14.
19.	თავი IV. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსი -----	15.
20.	მუხლი 16. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი	15.
21.	მუხლი 17. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი	15.
22.	თავი V. კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი -----	16.
23.	მუხლი 18. კვალიფიკაციის მინიჭება -----	16.
24.	თავი VI სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის განხორციელების პროცედურები -----	17.
25.	მუხლი 19. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა -----	17.
26.	მუხლი 20. მობილობის პროცედურები -----	17.
27.	თავი VII. სტუდენტის მიღწევების შეფასება, კრედიტის მინიჭება და აღიარება ---	18.
28.	მუხლი 21. შეფასება და კრედიტის მინიჭება -----	18.
29.	მუხლი 22. კრედიტების აღიარება -----	19.
30.	თავი VIII .უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი -----	19.
31.	მუხლი 23. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა -----	19.



32.	თავი IX. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სტუდენტების კონსულტირება ----	20.
33.	მუხლი 24. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სტუდენტების კონსულტირება -	20.
34.	თავი X დაფინანსება -----	20.
35.	მუხლი 25. დაფინანსების წყაროები -----	20.
36.	თავი XI .დასკვნითი დებულებები -----	21.
37.	მუხლი 26.დასკვნითი დებულებები -----	21.



1. ნორმატიული ბაზა

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. საერთაშორისო კონვენცია მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ- STCW 78, 2010 წ. ცვლილებით; -;
4. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება;
5. საგნობრივი სილაბუსის სტრუქტურა და შემუშავების წესი;
6. სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - მაგისტრატურა;
7. სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - ბაკალავრიატი;
8. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის ბრძანება №3;
9. „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №19/ნ. ქ. თბილისი;
10. „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის ბრძანება №227.
11. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის 2010 წლის თებერვლის ბრძანება №10/ნ ;
12. „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ. ;
13. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



14. „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების- დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ;
15. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესის და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 02 აპრილის №669 ბრძანება;
16. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი ND 2-F19.
17. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
18. დოკუმენტების მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
19. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;

2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

2.1. ტერმინები

- 2.1.1. **სენატი** - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლოითი ორგანო;
- 2.1.2. **პარტნიორი - პარტნიორი დაწესებულები**- საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები.
- 2.1.3. **უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულება** - უმაღლესი განათლების განმახორციელებელი დაწესებულება, რომელიც შექმნილია უცხოეთის სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
- 2.1.4. **რექტორი** - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხელმძღვანელი, სენატის თავმჯდომარე;
- 2.1.5. **ფაკულტეტი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას;
- 2.1.6. **ფაკულტეტის საბჭო** - ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო;
- 2.1.7. **აკადემიური დეპარტამენტი** - ფაკულტეტის ქვედანაყოფი, აკადემიის წესდების შესაბამისად მოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შექმნილია აკადემიის რექტორის ბრძანებით (№2-292, 08.05.15) და რომელიც წარმოადგენს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი სტრუქტურული ერთეული;
- 2.1.8. **საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)** - უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;

2.1.9. სასწავლო კურსის სილაბუსი – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ;

2.1.10. კვალიფიკაცია – აკადემიური ხარისხი, რომელსაც პირს საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების საფუძველზე ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

2.1.11. დიპლომი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების ათვისების შედეგად მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.1.12. დიპლომის დანართი – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან ერთად გასცემს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად;

2.1.13. სტუდენტი – პირი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და საზღვაო აკადემიის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად;

2.1.14. აკადემიური პერსონალი – შედგება პროფესორებისა (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი) და ასისტენტებისაგან, რომლებიც აირჩვიან კონკურსის გზით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

2.1.15. მოწვეული მასწავლებელი – უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც აირჩევა/ინიშნება სენატის მიერ დადგენილი წესით და რომელიც უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს (საჭიროების შემთხვევებში შეიძლება გაუძღვეს სალექციო კურსსაც) აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ სასწავლო კურსებზე (საათებზე). მასწავლებლები მოიწვევიან განსაზღვრული საათების ჩასატარებლად მოკლევადიანი კონტრაქტით, საათობრივი ანაზღაურების წესით. მოწვეულმა მასწავლებელმა შეიძლება დაიკავოს მასწავლებლის ან უფროსი მასწავლებელი პოზიცია განათლების, გამოცდილებისა და დამსახურების შესაბამისად.

2.1.16. მობილობა – სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით, რასაც თან სდევს კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების აღიარება;

2.1.17. ხარისხის მარეგულირებელი სტანდარტები – სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილებას ითხოვს განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონი, საერთაშორისო კონვენცია – STCW78 2010 წლის ცვლილებით და ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015;

2.1.18. პროცესი – საწყისის საბოლოოდ გარდამქმნელი ურთიერთდაკავშირებული ან ურთიერთმოქმედი საქმიანობის სახეობათა ერთობლიობა;

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



2.1.19. რესურსი - ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მიეკუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია.);

2.1.20. პერიოდული შემოწმება – ქმედება, რაც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;

2.1.21. ნორმატიული დოკუმენტი - კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ზოგად წესს და შესასრულებლად სავალდებულოა.

2.2. შემოკლებები.

ND – ნორმატიული დოკუმენტი;

აკადემია – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

დეპარტამენტი – ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტი;

კურიკულუმი – ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;

ISO – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

თავი I

მუხლი 3. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის, „ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 03 თებერვლის №75 ბრძანების შესაბამისად.

2. წინამდებარე წესი აწესრიგებს საზღვაო აკადემიაში პარტნიორთან დადებული ხელშეკრულების თავისებურებების გათვალისწინებით ბაკალავრიატის და მაგისტრატურის

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



ერთობლივი პროგრამების განხორციელებას.

3. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განათლების საფეხურისა და სტუდენტის სტატუსის გათვალისწინებით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. ერთობლივი პროგრამის დაგეგმვა-განხორციელება მოითხოვს პარტნიორი უნივერსიტეტების მკაფიო, ოფიციალურ თანხმობას, თანამშრომლობას და ძალისხმევას, ხელმისაწვდომობას, გამჭირვალეობის, სანდოობის, პერსონალური ინფორმაციის მართვის წესებისა და სხვა პრინციპების, დაცვას, მათ შორის განათლების სფეროში დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკას.

4. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი და სპეციფიკა განისაზღვრება პარტნიორ უნივერსიტეტთა შორის გაფორმებული მემორანდუმის, ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე, სენატის დადგენილებით.

5. საერთაშორისო ერთობლივ პროგრამას წარმოადგენს ერთობლივი პროგრამა, რომლის ერთი პარტნიორი მაინც არის უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულება.

6. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების უფლება აქვს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორს ან ამისათვის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს, სენატთან კონსულტაციის გარეშე.

7. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია განმახორციელებელი უნივერსიტეტების მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 4. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის დანიშნულება და მიზანი

1. ერთობლივი პროგრამის დანიშნულება და მიზანია უზრუნველყოს პარტნიორთა საუკეთესო გამოცდილებისა და შესაძლებლობების ინტეგრაცია და სტუდენტებისათვის გაზიარება ეფექტიანი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების მიზნით. კონკრეტული მიზნები და ამოცანები განისაზღვრება შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებით.

თავი II. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელება და განვითარება

მუხლი 5. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელება და განვითარება



- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, მტკიცდება, ხორციელდება და ვითარდება (ცვლილებები შედის) უცხოეთის პარტნიორი უნივერსიტეტის შეთანხმების საფუძველზე, საკანონმდებლო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

1. ერთობლივი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

- პროგრამის დასახელება (ქართულად/ან შესაბამის უცხო ენაზე);
- პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები;
- პროგრამის მოცულობას კრედიტებში;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად ან შესაბამის უცხო ენაზე);
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- განხორციელების ენა;
- პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობა;
- პროგრამის მიზანი;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- პროგრამის განხორციელების თავისებურებები;
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
- სწავლა-სწავლების შედეგები;
- სასწავლო კომპონენტები;
- შუალედური კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია;
- კომპეტენციების რუკა;
- პროგრამის განხორციელების რესურსები;
- სილაბუსები;
- პროგრამის დანართების ჩამონათვალი;
- დასაქმების სფერო.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - განსაზღვრულ უნდა იქნეს პროგრამაზე ჩარიცხვის/დაშვების კონკრეტული წინაპირობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება გამჭვირვალობა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

3. სწავლის შედეგი - განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



სწავლის შედეგები აღიწერება ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.

4. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები - უნდა აღიწეროს სწავლების რა მეთოდები იქნება გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში.

5. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა - უნდა აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა და ასევე კონკრეტული პროგრამისათვის ადეკვატური შეფასების მეთოდები (სხვადასხვა სასწავლო კურსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების განსხვავებულ მეთოდებს, რაც დეტალურად უნდა აღიწეროს კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსში).

6. სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომლითაც ხდება კრედიტის მინიჭება. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება:

ა) სასწავლო კურსის სახელწოდება;

ბ) მოცულობა კრედიტებში;

გ) სტუდენტის დატვირთვის სახეები (საკონტაქტო - ლექცია/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა/სემინარი/ლაბორატორიული/პრაქტიკა და სხვ., შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის განკუთვნილი დრო და დამოუკიდებელი მუშაობა) გათვლილი ასტრონომიულ საათებში;

დ) სწავლების სემესტრი;

ე) კომპონენტზე დაშვების წინაპირობების მატრიცა;

ვ) სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუქა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით განსაზღვრულ კომპეტენციებთან;

ზ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის თანდართული დოკუმენტაცია

1. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობის შედგენისას კრედიტების მოცულობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით.

2. პროგრამაში მკაფიოდ გამიჯნული და მითითებული უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი/თავისუფალი სასწავლო/კვლევითი კომპონენტების მოცულობა.

3. საგანმანათლებლო პროგრამის თანდართული დოკუმენტაციას ასევე თან ერთვის:

ა) სასწავლო კურსის პროგრამები(სილაბუსები);

ბ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა, ხარისხი), ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით, რომელიც უნდა მოიცავდეს გამოქვეყნებული სამეცნიერონაშრომების ჩამონათვალს და განხორციელებულ აკადემიურ აქტივობები;

გ) პროგრამის განხილვა-დამტკიცების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტები სხვადასხვა საფეხურზე (აკადემიური დეპარტამენტი, ფაკულტეტის საბჭო).

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



- დ) საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკის დადასტურება, რომ ლიტერატურა, რომელიც მითითებულია სილაბუსებში, ფიქსირდება ბეჭდური ან / და ელექტრონული ფორმით, ან ამ ლიტერატურასთან წვდომა შესაძლებელია საზღვაო აკადემიის ელექტრონული რესურსებით.
- ვ) პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვისა და პროგრამის კურსდამთავრებულებზე ბაზრის მოთხოვნის ანალიზი.
- ზ) საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სენატის გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობით პარტნიორთან შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8. სწავლების ენა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა შეიძლება იყოს ქართული და/ან უცხოური, პარტნიორი უნივერსიტეტების შეთანხმების საფუძველზე.
2. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (თუ მოპოვებულია შესაბამის უცხოურ ენაზე საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება).
3. ენის ცოდნასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები რეგულირდება პარტნიორ უნივერსიტეტთან შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 9. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტატუსის მოპოვება

1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობა საქართველოს მოქალაქეებისათვის არის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანება.
3. უმაღლესი განათლების II საფეხურზე, მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობა საქართველოს მოქალაქეებისათვის არის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანება.
4. საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება პარტნიორ უნივერსიტეტთან შეთანხმების საფუძველზე.

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



5. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საჭიროა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით განსაზღვრული ექვივალენტური დოკუმენტის არსებობა. ("უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).
6. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დაცვით.
7. დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების შერჩევის პროცედურა უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც განისაზღვრება კონკრეტული პროგრამით ან პარტნიორი უნივერსიტეტის რეგულაციებით.

მუხლი 10. სწავლის შედეგი

1. სწავლის შედეგი უნდა ასახავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.
2. სწავლის შედეგებში უნდა აისახოს ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
3. სილაბუსში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც მიზნად ისახავს შესაბამისი სასწავლო კურსი.
4. პროგრამაში უნდა მიეთითოს ინფორმაცია დასაქმების სფეროებზე.
5. პროგრამებში უნდა მიეთითოს ინფორმაცია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე, სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი და შეფასების მექანიზმები, მათ შორის, ერთობლივ პარტნიორთან.

მუხლი 11. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების/სწავლის მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები განისაზღვრება პარტნიორ უნივერსიტეტთან დადებული სასწავლო ხელშეკრულებისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 12. პროგრამის წარმოდგენა და დამტკიცება

პროგრამის წარმოდგენა და დამტკიცება ხდება პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად (საზღვაო აკადემიაში - სენატზე).

მუხლი 13. ერთობლივი პროგრამების განხორციელება და განვითარება



1. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება (ცვლილებების შეტანა) შესაძლებელია პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, აკადემიაში მოქმედი შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. მხარეები ვალდებული არიან ნებისმიერი მოსალოდნელი და შეტანილი ცვლილებების შესახებ აცნობონ ერთმანეთს არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.
2. ერთობლივი პროგრამის განხორციელების ფორმებია:
 - ა) ერთობლივი სწავლება;
 - ბ) ბაკალავრის და მაგისტრანტის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელობა;
 - გ) ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება.
3. ერთობლივ პროგრამაში ნებისმიერი სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებების შეტანა ხდება საზღვაო აკადემიის სენატის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ თანახმად, პარტნიორი უნივერსიტეტთან შეთანხმების შემდეგ.

მუხლი 14. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პარამეტრები და მოთხოვნები

1. პარტნიორი უნივერსიტეტები განსაზღვრავენ და წარმოადგენენ ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ (ებ)ს ან/და თანახელმძღვანელს.
2. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი.
3. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი, რომლებიც ახორციელებენ სალექციო კურსებს, მათ შორის დისტაციურ სწავლების ფორმის გამოყენებით.
4. პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (მკვლევარი) ხელმძღვანელობს/თანახელმძღვანელობს საბაკალავრო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სამაგისტრო ნაშრომებს.
5. ერთობლივი პროგრამა ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გაცვლას;
6. ერთობლივი პროგრამა ითვალისწინებს ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებას. განათლების დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომის) გამოცემა უნდა განხორციელდეს პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.
7. პარტნიორ უნივერსიტეტში შეიძლება განხორციელდეს მოდულები, სასწავლო კურსები, კვლევა, პრაქტიკა, ლექტორების მოწვევა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პროგრამის სხვა კომპონენტები.
8. პარტნიორი უნივერსიტეტის ფინანსური მონაწილეობა ერთობლივი საგანმანათლებლო

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



პროგრამის განხორციელებაში განსაზღვრულია მემორანდუმში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ერთობლივი პროგრამის სტუდენტი ვალდებულია ხელშეკრულებით ან პროგრამით გათვალისწინებული პერიოდი ისწავლოს და გაიაროს პრაქტიკა პარტნიორ უნივერსიტეტში (პერიოდი განსაზღვრულია მემორანდუმით).

10. დიპლომის დანართში აუცილებლად უნდა აღინიშნოს პარტნიორი უნივერსიტეტის დასახელება და სხვა მონაცემები.

თავი III . აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა

მუხლი 15. პროგრამების შეფასების პროცედურა

1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესი ეფუძნება საზღვაო აკადემიაში რეგულარულად მიმდინარე შიდა შეფასებას, რომელიც ხორციელდება საგანმანათლებლო სფეროში არსებული სტანდარტებისა და საზღვაო აკადემიის მიერ შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტების „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“ შესაბამისად.

1. პროგრამის შეფასება ხელმძღვანელის მიერ: პროგრამის ხელმძღვანელი ყოველწლიურად აკეთებს თვითშეფასების ანგარიშს, სადაც აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივ მდგომარეობას და აფიქსირებს პროგრამის შიდა და გარე შემფასებლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს; რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღწერს ობიექტურ ხელისშემშლელ პირობებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირების შემდეგ თვითშეფასების ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, რის შემდეგ გადაეცემა საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. პროგრამის შეფასება ფაკულტეტისა და საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ: შეფასების პროცედურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ა) პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვას;
- ბ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- გ) პროგრამის განხორციელებელი აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;
- დ) კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



- ე) დამსაქმებელთა გამოკითხვა.
- ვ) შიდა შეფასების ანგარიშები(დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები).
3. გამოკითხვებსა და სტუდენტთა შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამისი ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
4. გამოკითხვები ტარდება საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, დადგენილი წესით, ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოსა და პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის.
5. ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში ის სავალდებულო ხდება განსახორციელებლად.
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რექტორს წარუდგენს წინადადებას საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობის მისაღებად დარგის გარე ექსპერტების მოწვევის თაობაზე.
7. საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების მიზნით მხარეები თანხმდებიან გეგმაზე, რომლიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების მონიტორინგის, შედეგების შემოწმების სიხშირეს და შემოწმების შედეგების ანალიზს.

თავი IV. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსი

მუხლი 16. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი

1. ერთობლივი პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორ უნივერსიტეტებს პროგრამის განსახორციელებლად ჰყავთ ადამიანური რესურსი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებს, ხოლო უცხოეთში - შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
3. საზღვაო აკადემიაში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობა და თანაფარდობა განისაზღვრება პარტნიოთა შიდა სამართლებრივი აქტებისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. .
4. საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევრების ან მასწავლებლების მიერ.
5. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
6. აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მკვლევრებთან და მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



მუხლი 17. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი

1. ერთობლივი პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორ უნივერსიტეტებს პროგრამის განსახორციელებლად საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებს, ხოლო უცხოეთში - შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის:

- ა) ერთ მისამართზე 700 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი.
- ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები, სასწავლო აღჭურვილობა, სიმულატორები და ა.შ;
- დ) დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;
- ე) დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ე) დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის;
- ვ) მატერიალური რესურსი, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის;
- ზ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;
- თ) დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა;
- ი) დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი;
- კ) დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;
- ლ) ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



რეგულარულად;

მ) საზღვაო აკადემიის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;
ნ) შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

თავი V. კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი

მუხლი 18. კვალიფიკაციის მინიჭება

1. კურსდამთავრებულს მიენიჭება ერთობლივი აკადემიური ხარისხი, უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთობლივად. კურსდამთავრებულზე გაცემა ორივე სასწავლებლის დიპლომი, რომელიც ადასტურებს ერთობლივ კვალიფიკაციას. დიპლომების დანართში ზუსტად გაიწერება თუ პროგრამის რომელი ნაწილის შესწავლა მოხდა პარტნიორ უნივერსიტეტში.
2. კვალიფიკაციის მინიჭებამდე მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს წერილობით აცნობონ კვალიფიკაციის მინიჭებაზე თანხმობის შესახებ. კვალიფიკაცია ჩაითვალება მინიჭებულად თუ სტუდენტმა შეასრულა პროგრამით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა.
3. კვალიფიკაციის მინიჭებას ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე ანხორციელებს ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორი გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტის შესახებ პარტნიორი უნივერსიტეტები ერთმანეთს აცნობებენ მოთხოვნის საფუძველზე, წერილობითი ფორმით.
4. კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭებისა და მასთან დაკავშირებული და სხვა სავალდებულო სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება, მომზადებისა და გაცემის პერიოდულობაზე მხარეები თანხმდებიან შეთანხმების საფუძველზე.
5. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების დარგის/სპეციალობის მითითებით.
6. მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით.

თავი VI. სტუდენტის სტასუსის შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის განხორციელების

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



პროცედურები

მუხლი 19. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

1. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტის პირობები განისაზღვრება პარტნიორი უნივერსიტეტების წესდებით, შინაგანწესითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად..
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა საზღვაო აკადემიაში რეგულირდება შინაგანწესით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებითა და „სასწავლო პროცესის პროცედურა. საბაკალავრო სწავლების საფეხური“ და „სასწავლო პროცესის პროცედურა. სამაგისტრატურის სწავლების საფეხური“ -ის პროცედურებით. .
3. სტუსის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ უნდა მოხდეს ინფორმაციის გაცვლა პარტნიორ უნივერსიტეტთან შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

მუხლი 20. მობილობის პროცედურები

1. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მობილობა წარმოადგენს პროგრამის მნიშვნელოვან მახასიათებელს. შესაბამისად საზღვაო აკადემია და პარტნიორ უნივერსიტეტებს შემუშავებული აქვთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების საფუძველზე და „სტუდენტთა რეგისტრაციის და მობილობის პროცედურით“.
2. მობილობის პერიოდის აღიარება ხდება ავტომატურად.

თავი VII. სტუდენტის მიღწევების შეფასება, კრედიტის მინიჭება და აღიარება

მუხლი 21. შეფასება და კრედიტის მინიჭება



1. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება (თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით) ხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტთან შეთანხმებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. პროგრამით გათვალისწინებულ კურსებში კრედიტის მიღება შესაძლებელია სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, და ხორციელდება „გამოცდების ჩატარების და შეფასების პროცედურის შესაბამისად“.
3. სტუდენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
5. დასკვნითი გამოცდა ფასდება არაუმეტეს 40 ქულით.
6. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
7. შეფასების სისტემა ითვალისწინებს:
 - ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.
8. შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
9. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.
10. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი არანაკლებ 10 დღეა.
11. კონკრეტული კრიტერიუმები და მოთხოვნები განისაზღვრება განმახორციელებელი უსდ-ს შეფასების სისტემების გათვალისწინებით და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით.



მუხლი 22. კრედიტების აღიარება

1. პარტნიორ უნივერსიტეტები ვალდებული არიან აწაარმოონ სტუდენტთა შეფასების ერთიანი ელექტრონული რეესტრი და უზრუნველყონ რეესტრზე შეუზღუდავი წვდომა.

თავი VIII. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 23. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

1. სტუდენტებს ეძლევათ რეკომენდაცია, შეცვლის შემთხვევაში სწავლა განაგრძონ მოდიფიცირებულ სპეციალობაზე, ხოლო გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძონ თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდნენ სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოდიფიცირებულ ან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველი სტუდენტების კრედიტების აღიარება მოხდება საზღვაო აკადემიაში დადგენილი კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად.
3. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების (მაგალითად, საგნის დამატება, სპეციალიზაციის ჩანაცვლება, გაუქმება) შეტანის შემთხვევაში, ცვლილებები არ გავრცელდება საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხული სტუდენტების მიერ უკვე გავლილ საგნებსა და მოპოვებულ კრედიტებზე.
4. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით საზღვაო აკადემია მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და ვალდებულია:
 - ა) მხარესთან შეთანხმებით, პროგრამის დახურვის შემდეგ სტუდენტებს შეუნარჩუნედეთ სტატუსი ავტორიზაციის ვადით ან ხელს შეუწყობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის განცხორციელებაში;
 - ბ) სტუდენტს შესთავაზოს ECTS (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა) კრედიტებთან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები;
 - გ) სტუდენტს შესთავაზოს მობილური და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ისეთი სასწავლო კურსები/მოდულები, რომელიც სტანდარტული და რელევანტური იქნება სხვა პროგრამაში გადასვლის შემთხვევაში და მოხდება მაქსიმალური რაოდენობის კრედიტების აღიარება;
 - დ) საქართველოში არსებული აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათ მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამები შესახებ

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



სტუდენტების ინფორმაციით უზრუნველყოფა;

ე) გააცნოს სტუდენტს მობილობის წესი, ვადები და პირობები.

5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით საზღვაო აკადემია მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს სტუდენტები უცხოეთში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და მათ მიერ მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

ბ) სტუდენტის შუამდგომლობის საფუძველზე უშუალოდ აწარმოოს მოლაპარაკებები საქართველოში აკრედიტებულ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ საზღვაო აკადემიის მიერ გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის მსგავს საგანმანათლებლო პროგრამას და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სტუდენტის მობილობის უზრუნველსაყოფად.

6. თუ საზღვაო აკადემია არ ახორციელებს გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე საზღვაო აკადემია იღებს ვალდებულებას გავლილი პროგრამის ფარგლებში კრედიტების აღიარების თაობაზე გააფორმოს მემორანდუმი პარტნიორ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ გაუქმებულ ან მასთან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე პროგრამას და სადაც შესაძლებელია გადავიდეს შეცვლილი/გაუქმებული პროგრამის სტუდენტი მობილობის წესით.

7. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში მხარეები დამატებით თანხმდებიან სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის ერთობლივ მექანიზმებზე.

თავი IX. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სტუდენტების კონსულტირება

მუხლი 24. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სტუდენტების კონსულტირება

1. ერთობლივ პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია მკაფიოდ არის განსაზღვრული, უზრუნველყოფილია ინფორმაციის გავრცელება, პროგრამის აღწერა, მიღების წინაპირობები და პროცედურები, ცხოვრების პირობები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/ ხარისხის შესახებ, სწავლების ენის ცოდნის საკითხები, აღიარების საკითხები, თავსებადობა ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემასთან, მისანიჭებელი კვალიფიკაცია/ ხარისხი.

თავი X. დაფინანსება

მუხლი 25. დაფინანსების წყაროები

1. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფინანსება ხორციელდება სასწავლო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, მიზნობრივი

ND 2-O28

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 03.04.2019

მოქმედებაშია 03.04.2019



პროგრამების, ქველმოქმედებისა და თვითდაფინანსების ფორმით. კონკრეტულ შემთხვევაში დაფინანსების სხვა წყაროები განისაზღვრება პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

თავი XI . დასკვნითი დებულებები

მუხლი 26. დასკვნითი დებულებები

1. საზღვაო აკადემიაში ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი რეგულირდება პარტნიორთან დადებული ხელშეკრულებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბოლონიის კონვენციის მოთხოვნების, საზღვაო აკადემიის შინაგანაწესის, შიდა მარეგულირებელი პროცედურების, დებულებების და წესების და წინამდებარე დებულების / წესის საფუძველზე.